სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

13 მაისი 2026

N 21/6591

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ აბელ აბესაძეს

ბატონო აბელ,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 23 აპრილის №22/2552 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციით №5879) წარმოდგენილი საქმიანობის – გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ახალი სამგორის ადმინისტრაციულ ერთეულში, 67 125 $მ^3$ კონგლომერატის მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის სამთო მინაკუთვნის ფართობი შეადგენს 26 850 $მ^2$-ს, ხოლო მიწის მინაკუთვნის ფართობი – 25 935 $მ^2$-ს.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) II დანართის 2.1 ქვეპუნქტის მიხედვით, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება „ტორფის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია; **მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 5 ჰექტარზე მეტია**“.

ვინაიდან თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტის სამთო მინაკუთვნის ფართობი 26 850 $მ^2$-ს შეადგენს, დაგეგმილი საქმიანობა კოდექსის II დანართის 2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას არ განეკუთვნება და შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის ჩატარებას და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას არ საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/6591-21-2-202605131156

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE